ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ებ ა

ბრძანება:**ბ74. 742317812**

თარიღი:**27/06/2023**

პროექტის „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის" (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის (შემდგომში CESL) ფარგლებში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისთვის (GIZ) წარსადგენი საპროექტო იდეის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საპილოტე რეგიონების მუნიციპალიტეტებში პროექტის „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის" (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის (შემდგომში CESL) ფარგლებში შესაძლებელი იქნება საპროექტო იდეების დაფინანსება ურბანული განახლების, ტურიზმის განვითარებისა და ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის მიმართულებით. შერჩეული იდეის განსახორციელებლად პროექტის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის (CESL) განხორციელებაზე პასუხისმგებელ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) და მუნიციპალიტეტებს ან ინტერმუნიციპალური დანიშნულების ორგანიზაციებს შორის გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულებები. ტყიბულის მუნიციპალიტეტის, როგორც საპილოტე რიგიონის მუნიციპალიტეტის, მიერ ზემოთ დასახელებულ საგრანტო კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეის შემუშავების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე" პუნქტის „ე.ე" და „ე.ვ" ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- **დავით ჩერქეზიშვილი** - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
- **გიორგი ლომთაძე**- ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;
- **თეიმურაზ ცქიფურიშვილი** - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **ზაზა ზოსიაშვილი** - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **ზაზა გოჩელაშვილი** - არასამთავრობო ორგანიზაციის „ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი" (TDDF) ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **ლუიზა ლაფერაძე** - სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის წევრი.
- **უჩა ჩიტიძე** - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე საერთაშორისო და საგრანტო პროექტების მოძიებასა და ადმინისტრირების მიმართულებით, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **თეა არსენიძე** - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სპეციალისტი (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი), სამუშაო ჯგუფის მდივანი;
- **თინათინ ცქიფურიშვილი** - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **გოჩა კანკია** - ინდივიდუალური მეწარმე, ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **მაია ბრეგაძე** - შპს "და-ნი"-ს დირექტორი, ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის წევრი.

2. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1

(ერთი) თვის ვადაში.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი